განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„სოციალური მუშაობის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

სოციალური მუშაკის ინსტიტუტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სოციალურ მუშაკს უწევს უფლებამოსილების განხორციელება, ხშირ შემთხვევაში, იმ ინდივიდებთან თუ ოჯახებთან, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ სახელმწიფოსა და საზოგადოების თანადგომა. შესაბამისად, სოციალური მუშაკის ძლიერი ინსტიტუტი საწინდარია ადამიანის უფლებების დაცვის მყარი გარანტიისა, სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა, მოწყვლადი ინდივიდების დაცვისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისა.

მოქმედი კანონმდებლობით არ არსებობს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ მუშაკთან დაკავშირებულ ძირითად მიმართულებებს და დეტალურად გაწერს მათ უფლება-მოვალეობებს. ეს ყველაფერი აისახება მომსახურების ხარისხზე და საბოლოო ჯამში, ინდივიდების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობაზე. უფლებამოსილი უწყებები კანონქვემდებარე აქტების დონეზე სხვადასხვაგვარად არეგულირებენ სოციალურ მუშაკთან დაკავშირებულ სამართლებრივ ბაზას, რაც ვერ უზრუნველყოფს სოციალური მუშაკის საქმიანობის განჭვრეტადობას, როგორც ბენეფიციარებისთვის, ასევე, თავად სოციალური მუშაკებისთვის. ეს კი, თავის მხრივ ხელს უშლის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას სოციალური მუშაკის პროფესიასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, ერთიანი სისტემის არარსებობის გამო, სოციალური მუშაობა არ არის ორიენტირებული პრევენციაზე და ის ძირითადად რეაგირების რეჟიმში მიმდინარეობს. შესაბამისად, სისტემა რეაგირებს უმეტესწილად მხოლოდ მაშინ, როდესაც ზიანი ბენეფიციარისა თუ საზოგადოების ინტერესისათვის უკვე დამდგარია.

კანონპროექტზე მუშაობის პროცესში, ფრიდრიხ-ებერტის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა ამ სფეროში არსებული ძირითადი პრობლემები:

1.დეცენტრალიზაციის პრობლემა - თვითმმართველობის დონეზე სოციალური მუშაკის ინსტიტუტის არარსებობა. სოციალური მუშაობის დეცენტრალიზაციას მხარს უჭერენ როგორც დამსაქმებლები, ისე სოციალური მუშაკები. მისი არსებობა

ნაწილობრივ შეამსუბუქებს სოციალური მუშაკის პროფესიასთან დაკავშირებით არსებულ სირთულეებს.

2. ჯანმრთელობა და უსაფრთხოება - სოციალური მუშაკის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ისინი არ გრძნობენ თავს უსაფრთხოდ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, რაც თავის მხრივ აისახება მუშაობის ხარისხზე და მოტივაციაზე.

3. რაოდენობა - ქვეყანაში სოციალურ მუშაკთა მცირე რაოდენობის გამო, მათ არასამუშაო დროს უწევთ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება. ხშირად ისინი მრავალ შემთხვევაზე ერთდროულად მუშაობენ, რაც პროფესიული ეფექტიანობის შემცირების საფრთხეს მოიაზრებს თავის თავში.

4. სოციალური მუშაკის სოციალური გარანტიები - სოციალური მუშაკების ხელფასი არის ძალიან დაბალი. მათ არ აქვთ სოციალური გარანტიები. მათ უწევთ ხშირი გადაადგილება და ტრანსპორტირების ხარჯებს ანაზღაურებენ საკუთრი ისედაც დაბალი ხელფასიდან.

5. საზოგადოების ცნობიერების დაბალი ხარისხი - ხშირ შემთხვევაში საზოგადოების წევრებს არ აქვთ ინფორმაცია სოციალური მუშაკის ინსტიტუტის შესახებ, რაც ართულებს მოწყვლადი ჯგუფების წევრების მხრიდან სერვისების წვდომას. ისინი საჭიროების დროს ვერ მიმართავენ სოციალურ მუშაკს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ იციან მისი არსებობის შესახებ.

6. კვალიფიკაცია - გამოვლინდა სოციალური მუშაკების გადამზადების საჭიროება. სოციუმი მუდამ ცვალებადი მექანიზმია და ამ ცვლილებებს ახალი, ადაპტირებული მიდგომები სჭირდება, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი პროფესიულ საქმიანობაში ინფორმაციისა და მიდგომების განახლება. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში სოციალურ მუშაკს არ აქვს შესაბამისი განათლება მიღებული, რაც სერვისის ეფექტიანობას და ხარისხს მნიშვნელოვნად აქვეითებს.

შესაბამისად, გამოიკვეთა სოციალური მუშაკის ინსტიტუტის რეფორმის აუცილებლობა, იმისათვის, რომ ქვეყანას ჰქონდეს პრევენციაზე ორიენტირებული სოციალური მუშაკის სისტემა. ასეთი რეფორმის საფუძველი არის სწორედ ერთიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს თითეული ინდივიდის უფლებების დაცულობას, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან გვერდით დგომას საჭიროებს, ასევე, თითეული სოციალური მუშაკისთვის გარანტიების შექმნას, იმისათვის რომ მან პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა და უზრუნველყოს თითეული ბენეფიციარის უფლებების რეალიზება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია სოციალური მუშაობის იმგვარი ერთიანი რეგულაციის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება ინდივიდზე, მისი პიროვნების განვითარებაზე და მისი უნარების მაქსიმალურ რეალიზაციაზე.

კანონპროექტი ხელს უწყობს ისეთ საზოგადოებას, სადაც ადამიანის ღირსება და სოციალური სამართლიანობა უზრუნველყოფილია; სადაც წესია სოლიდარული ქმედება, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის ნიშანი სუსტთან მიმართებით; სხვადასხვა ფორმები ცხოვრებისა შესაძლებელია, მანამ სანამ ის ფიზიკურ თუ სულიერ ზიანს არ აყენებს სხვას; ძალადობა ადამიანებს შორის დაგმობილია და კონფლიქტები გვარდება ძალადობის გარეშე; ადამიანები ზეწოლის ნებისმიერი ფორმის გარეშე ცხოვრობენ.

სოციალური მუშაკის ერთიანი სისტემის განვითარება ხელს უწყობს სიღარიბის, კრიმინალის, ნარკო-, ალკო-, და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების შემცირებას, ასევე, თვითრეალიზებული ადამიანების, სოლიდარული პასუხისმგებლობის გაზრდას, ცხოვრების ჯანსაღი წესის გაძლიერებას.

საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს გაძლიერების საწინდარია.

ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტის მიხედვით, იქმნება სოციალური მუშაობის ერთიანი სისტემა, რაც გულისხმობს შემდეგს:

კანონპროექტით დადგენილია სოციალური მუშაობის ძირითადი პრინციპები, რომელიც სოციალურ მუშაკს ავალდებულებს პროფესიული საქმიანობისას დაიცვას შემდეგი ფუნდამენტური საკითხები: ადამიანის უფლებების პატივისცემა, სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა, დარგობრივი კომპეტენცია, თანაზომიერება, კეთილსინდისიერება და პროფესიული ეთიკის დაცვა. თანამედროვე დასავლურ ქვეყნებში სწორედ აღნიშნულ პრინციპებს ემყარება სოციალური სამუშაო. სოციალური მუშაკები ვალდებულნი იქნებიან შეასრულონ მოცემულ კანონში გატარებული პრინციპები.

კანონის პროექტის თანახმად, ერთმანეთისგან გამიჯნულია სოციალური მუშაკის ძირითადი და სპეციალური ფუნქციები, რათა სოციალურმა მუშაკმა კვალიფიციურად შეძლოს თავისი ფუნქციების შესრულება, მისთვის ნათლად და მკაფიოდ იყოს განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებები. პრევენციული სოციალური მუშაობა განსაზღვრულია, როგორც სოციალური მუშაკის უმთავრესი

ფუნქცია. აღნიშნული ხაზს უსვამს იმას, რომ სოციალური მუშაკი რეაგირების რეჟიმში კი არ უნდა იყოს, როდესაც ზიანი უკვე დამდგარია, არამედ კანონი სოციალურ მუშაკს ააქტიურებს მანამ, სანამ საფრთხე შეიქმნება ან ზიანი დადგება.

კანონპროექტი ადგენს დარგობრივ კომპეტენციას სოციალური მუშაკებისთვის. სოციალური მუშაკის სპეციალური, დარგობრივი, სოციალური მუშაობა განისაზღვრება, როგორც სოციალური მუშაობა ბავშვზე და ოჯახზე ზრუნვის სფეროში, სოციალური მუშაობა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან, სოციალური მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. დარგობრივი კომპეტენციის მიზანია, რომ სოციალურ მუშაკს გაუმარტივდეს უფლებამოსილებების შესრულება, და იმავდროულად, მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი იყოს მაღალი.

კანონის პროექტით დეტალურად არის განსაზღვრული სოციალური მუშაკის უფლებები და მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს როგორც ბენეფიციარების, ასევე, სოციალური მუშაკების მაქსიმალურ დაცულობას და ფუნქციების უკეთესად შესრულებას. კერძოდ, კი სოციალური მუშაკის უფლება-მოვალეობებია: დამოუკიდებლობა, ბენეფიციარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, სასამართლოში წარმომადგენლობა, კონფიდენციალურობის ვალდებულება, დოკუმენატაციის წარმოების ვალდებულება, ინფორმაციის გაცემის ვალდებულება, თანამშრომლობის ვალდებულება, ბენეფიცარის საუკეთესო ინტერესით მოქმედება, მიუკერძოებლობა, ინფორმაციის ანალიზი, სოციალური მუშაკის უწყვეტი პროფესიული განვითარება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის უფლება - მოითხოვოს სახელმწიფოსაგან მხარდაჭერა. მაგალითად, სოციალური მუშაობის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალური, ტექნიკური, საინფორმაციო და უწყებრივი მხარდაჭერა. თუმცა, ეს უფლება არ არის აბსოლუტური და ანგარიში უნდა იქნას გაწეული იმ რესურსებს გონივრულობის ფარგლებში, რომელი რესურსებიც სახელმწიფოს გააჩნია.

კანონპროექტი მკაფიოდ და დეტალურად განსაზღვრავს სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. ეს მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ მან კვალიფიციურად შეასრულოს მისდამი დაკისრებული სამუშაო და თავად იცოდეს საკუთრი უფლებამოსილებების ჩარჩოები იმისათვის, რომ თავად იყოს დაცული, ხოლო მეორე მხრივ, არ დააზიანოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესი. კანონპროექტი განსაზღვრავს სოციალური მუშაკის მიერ შესასრულებელ შემდეგ ღონისძიებებს: პრევენცია, რომლის თანახმადაც სოციალური მუშაკი აწოდებს ბენეფიციარს შესაბამის სერვისს, როდესაც საფრთხე სახეზე არ არის, თუმცა ობიექტური დამკვირვებლის თვალით, ყველა გარემოების გათვალისწინებით, ის დიდი ალბათობით შეიძლება წარმოიქმნას. პრობლემის განსაზღვრა - რაც მოაიზრებს

სოციალური მუშაკის ქმედებას, როცა შემთხვევის ანალიზის და შეფასების საფუძველზე, იგი განსაზღვრავს დახმარების საჭიროების მქონე პირების პრობლემას. საჭიროების შეფასების ღონისძიება, ემსახურება სოციალური მუშაკის მიერ ბენეფიციარის ინდივიდუალური პრობლემის და არსებული გარემოს სისტემურად შესწავლას, ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე. სოციალური მუშაობის დაგეგმვა - არის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც შემუშავებული უნდა იქნეს იმგვარი გეგმა, რომელიც შეიცავს მიზნებს, აუცილებელ სტრატეგიას და განსაზღვრულ სამოქმედო ეტაპებს. სოციალური მუშაკის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვრული უნდა იქნეს სოციალური მუშაობის ინდივიდზე მორგებული სამოქმედო გეგმა. მხარდაჭერის განხორციელების ღონისძიება მიმართულია საზოგადოებაში, ბენეფიციარის სოციალური კომპეტენციის გასაუმჯობესებლად, ბენეფიციარის რესურსებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებისაკენ მისი საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

კანონის პროექტი განსაზღვრავს სოციალური მუშაკის პროფესიულ კვალიფიკაციას. იგი სოციალური მუშაკის პროფესიისათვის აყალიბებს ძირითად მოთხოვნებს და ადგენს, თუ რა კომპეტენციებს უნდა ფლობდეს სოციალური მუშაკი. მათ შორის, სწორედ აღნიშნული რეგულაცია იწვევს ამ პროფესიის რეგულირებად პროფესიად ქცევას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სოციალური მუშაკის კვალიფიკაციის ზრდას და ხარისხიანი სოციალური მუშაობის სისტემის ჩამოყალიბებას საქართველოში.

სოციალური მუშაკის პროფესიის განვითარებისათვის, თვითორგანიზაციის ხელის შეწყობისათვის, ასევე, სოციალურ მუშაკთა მეტი პროფესიული დაცულობისა და გარანტიებისათვის კანონპროქტი ითვალისწინებს პროფესიული გაერთიანების შექმნას, რომლის სამართლებრივი ფორმა წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირია. რადგან სოციალური მუშაკები არიან დასაქმებულნი საჯარო მოხელეებად, ასევე არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, და ასევე, არასამთავრო სექტორში, მათი პროფესიული ერთიანობის მიღწევა რთულია. იმისათვის, რომ მათ როგორც ახლადდამკვიდრებადი პროფესიის წევრებს შეეძლოთ თავიანთი ინტერესების დაცვა და პროფესიის განვითარება, კანონპროექტით იქმნება სოციალურ მუშაკთა გაერთიანება. ამგვარი გაერთიანებისთვის ფუნქციები კანონპროექტით არის განსაზღვრული. კანონპროექტი აგრეთვე ადგენს აღნიშნული გაერთიანების დაფუძნების წესს, სტრუქტურასა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

კანონპროექტით განსაზღვრულია სოციალური სამუშაოს გარკვეული ნაწილის დეცენტრალიზაცია. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის მიხედვით, სუბსიდიარობის პრინციპი ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედად არის აღიარებული.

აღნიშნული პრინციპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელება უნდა მოხდეს სხვადასხვა სფეროებში უფლებამოსილებების ადგილობრივ თვითმმართველობებზე დელეგირებით. სოციალური მუშაობის რიგი ფუნქციები და ღონისძიებები სწორედ, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულმა სოციალურმა მუშაკებმა უნდა განახორციელონ. აღნიშნული შეესაბამება განვითარებული ევროპული ქვეყნების პრაქტიკას, სადაც კანონის პროექტით გათვალისწინებული კომპეტენციები თვითმმართველობების მიერ ხორციელდება. დეცენტრალიზაცია ემსახურება სოციალური სამუშაოს ეფექტიანობის მიღწევას, რადგან ეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები სწორედ ადგილზე უნდა მოგვარდეს. თუმცა, თვითმმართველობებისთვის პირველ ეტაპზე ეს იქნება დელეგირებული უფლებამოსილება, სადაც კონტროლის ფუნქციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რჩება.

კანონპროექტი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სოციალური სამუშაოს შესრულების პირობებს, სოციალური მუშაკის შრომით გარანტიებს და არეგულირებს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების ფარგლებს. იგი, ასევე ითვალისწინებს განსაკუთრებულ გარანტიებს სოციალური მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, სოციალური მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში, ან მისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარებისას და ზრდის მისი უსაფრთხოების გარანტიებს.

იმისათვის, რომ ამ რთული რეფორმის განხორციელება ეტაპობრივად, გარანტირებულად მოხდეს, კანონი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ იმპლემენტაციის გეგმის დამტკიცებას, სადაც გაწერილ უნდა იქნას კონკრეტული ნაბიჯები. ეს გეგმა გაამარტივებს რეფორმის გამჭვირვალედ, წარმატებულად წარმართვას და საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტზე და გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა საჭირო იქნება სოციალური მუშაკების სერტიფიცირებისთვის და იმ სოციალური მუშაკების გადამზადებისთვის, რომლებიც არ საჭიროებენ სერტიფიცირებას, აგრეთვე სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდისა და მათთვის სოციალური გარანტიების გაუმჯობესებისთვის და ადგილობრივ თვითმმართველობებზე

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესასრულებელი სოციალური სამუშაოს განხორციელებისთვის.

დღეს არსებული მდგომარეობით, საშუალოდ სოციალური მუშაკების ხელფასებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხარჯება 4 864 820 ლარი, 2020 და 2021 წლებში სოციალური მუშაკების რაოდენობისა და ხელფასების ზრდის გათვალისწინებით, მათი ხელფასებისთვის გამოსაყოფი იქნება წლის განმავლობაში დაახლოებით 9 705 400 ლარი, 2022 და 2023 წლებში, წლის განმავლობაში დაახლოებით 14 562 000 ლარი, ხოლო 2024 წლიდან წლის განმავლობაში დაახლოებით 21 576 000 ლარი, რომელთა დეტალური აღწერა მოცემული არის განმარტებითი ბარათის „გ.ა.“ ქვეპუნქტში.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური მუშაკების სერტიფიცირებისთვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ხარჯების გამოყოფა. სერტიფიცირების პერიოდად დაგეგმილია 2019 და 2020 წლები. რელევანტური უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, იმ სოციალური მუშაკების რაოდენობა და სამომავლოდ გასაზრდელი რაოდენობა სოცალური მუშაკების, რომლებიც უნდა დაექვემდებარონ სერტიფიცირებას, არის დაახლოებით 390. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, TACIS/TEMPUS სასერთიფიკაციო პროგრამის ერთი კურსის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 24 000 ლარს და ეს თანხა გათვალისწინებულია 30 გადასამზადებელი პირის სერტიფიცირებაზე. შესაბამისად, გადასამზადებელი იქნება 390 ადამიანი, რომლების გადანაწილდებიან 13 ჯგუფში. ამდენად, 2019 წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება 7 ჯგუფის გადამზადება, რაც გამოიწვევს დანახარჯს 168 000 ლარის ოდენობით (თითოეულ ჯგუფზე 24 000 ლარი), ხოლო 2020 წელს მოხდება 6 ჯგუფის სერტიფიცირება და დანახარჯი იქნება 144 000 ლარი (თითოეულ ჯგუფზე 24 000 ლარი).

გ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კანონის პროექტის მიხედვით, იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალურ მუშაკთა გაერთიანება, რომელში გაწევრიანება სავალდებულო იქნება ყველა პრაქტიკოსი სოციალური მუშაკისთვის. კანონპროექტითვე განსაზღვრულია, რომ გაერთიანების წევრი სოციალური მუშაკები ვადებული არიან გადაიხადონ გაერთიანების საწევრო გადასახადი, რომლის ოდენობას და გადახდის პერიოდულობას დაადგენს სოციალურ მუშაკთა გაერთიანება. ამდენად, ამ საჯარო სამართლის იურიდიული პირს გაუჩნდება შემოსავალი და შესაბამისად გაუჩნდება საგადასახადო ვალდებულებები, შემოსავლის ოდენობისა და მისი საგადასახადო

ვალდებულებების შესახებ შეუძლებელია წინასწარ საუბარი, რადგან ჯერჯერობით უცნობია საწევრო შესატანის ოდენობის შესახებ. აგრეთვე, დაგეგმილია სოციალური მუშაკების რაოდენობისა და მათი ხელფასების ზრდა, რაც შესაბამისად, გაზრდის მათი მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის ოდენობას. კერძოდ დღეისთვის გაცემული ხელფასებიდან საშემოსავლო გადასახადის სახით იბეგრება და სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართება დაახლოებით 972 964 ლარი, 2020 და 2021 წლებში სოციალური მუშაკების რაოდენობისა და მათი ხელფასების ზრდის მაჩვენებლის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაახლოებით შეადგენს დაახლოებით 1 941 080 ლარს, 2022 და 2023 წლებში - დაახლოებით 2 912 400 ლარს, ხოლო 2024 წლიდან კი დაახლოებით 4 315 200 ლარს. სოციალური მუშაკების რაოდენობისა და ხელფასების დაგეგმილი ზრდისა შესახებ დეტალური აღწერა მოცემული არის განმარტებითი ბარათის „გ.ა. ქვეპუნქტში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტს ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კერძოდ, არსებული სოციალური მუშაკების სერტიფიცირებისა და გადამზადებისთვის, სოციალური მუშაკების რაოდენობის მომატებისა და სოციალური გარანტიების გაუმჯობესებისათვის აუცილებელი იქნება შესაბამისი დაფინანსების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ასევე, ადგილობრივ თვითმმართველობებისთვის შესაქმნელად სავალდებულო იქნება ის დანაყოფები, რომლებიც სოციალური სამუშაოს კოორდინაციას მოახდენენ მუნიციპალიტეტის დონეზე, რაც შესაბამის ხარჯებს საჭიროებს.

კანონის პროექტით იქმნება სოციალური მუშაობის ერთიანი სისტემა, რომელიც ერთ საკანონმდებლო აქტში მოაქცევს სოციალური მუშაობის მარეგულირებელ ნორმებს, რომლებიც უსისტემოდ არის გაფანტული სხვა დასხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. ამდენად, კანონის პროექტი წარმოადგენს სოციალური მუშაობის მარეგულირებელი ურთიერთობის სისტემატიზაციის დოკუმენტს და ადგენს ახალ (მათ შორის ფინანსურ) ვალდებულებს საჯარო დაწესებულებებისთვის. აღნიშნულიდან გამონაკლისია მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობაში გასაწევი სოციალური მუშაობა, რომელთან დაკავშირებითაც ფინანსური ვალდებულებების შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

სოციალური მუშაობის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალური, ტექნიკური, საინფორმაციო და უწყებრივი მხარდაჭერა. თუმცა, ანგარიში უნდა იქნას გაწეული იმ რესურსებს გონივრულობის ფარგლებში, რომელი რესურსებიც სახელმწიფოს ამ ეტაპისთვის გააჩნია. ამდენად, ამ კუთხით, კანონის პროექტი არ აწესებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს ტექნიკური და მატერიალური ვალდებულების ჭრილში.

სოციალური მუშაკის პროფესიის განვითარებისათვის, თვითორგანიზაციის ხელის შეწყობისათვის, ასევე, სოციალურ მუშაკთა მეტი პროფესიული დაცულობისა და გარანტიებისათვის კანონპროექტი ითვალისწინებს პროფესიული გაერთიანების შექმნას, რომლის საქმიანობის დაფინანსება, გაერთიანების თანამშრომელთა ხელფასებისა საქმიანობისთვის აუცილებელი მატერიალურ ტექნიკური რესურსის ჩათვლით, დაფინანსდება სოციალური მუშაკების მიერ გაერთიანებისთვის გადახდილი საწევრო გადასახადებისგან.

სოციალური მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, სოციალური მუშაკის დაღუპვის შემთხვევაში, ან მისი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად აღიარების შემთხვევაში, კანონის პროექტით გათვალისწინებულია სოციალური დახმარება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. თუმცა კი, გამომდინარე იქედან, რომ ამ მიმართულებით სტატისტიკური მონაცემები არ მუშავდება, რთულია წინასწარ იმის განჭვრეტა სავარაუდო ფინანსური დანახარჯისა. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის პროექტი აწესებს სოციალურ მუშაკთა უსაფრთხოების შექმნის გარანტიებს, რაც მნიშვნელოვნად შემაცირებს აღნიშნული ფაქტის დადგომის საფრთხეს.

კანონის პროექტის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი 2019 წლის 1 იანვრამდე ამტკიცებს ამ კანონის იმპლემენტაციის გეგმას და ახდენს ამ გეგმის შესრულების მონიტორინგს. შესაბამისად, თუ რა გავლენას იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე კანონის პროექტი, ამ თანხის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელი იქნება კანონის იმპელემენტაციის გეგმის დამტკიცების შემდეგ.

თუმცა კი, კანონის პროექტზე მუშაობის ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა სახელმწიფო უწყებათა საჭიროებები სოციალური მუსაკების რაოდენობის ზრდასთან, მათი ხელფასების მატებასთან და სოციალური მუშაკების სერტიფიცირებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც დაანგარიშდა იმ თანხის სავარაუდო ოდენობა, რომელიც გამოსაყოფი იქნება 2019 წლიდან კანონის სრულად ამოქმედებამდე პერიოდისთვის.

1. *სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდა და ხელფასების მატება*

1.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციითსისტემაში დასაქმებულია 245 სოციალური მუშაკი, რომელთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი შეადგენს 900 ლარს, რისთვისაც ყოველწლიურად ხელფასისთვის საჭიროა დაახლოებით 2 646 000 ლარი. სოციალური მუშაკების დატვირთვის

გათვალისწინებით და მათი საქმიანობის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა საჭიროება, რომ სისტემაში მოხდეს ჯამში 130 სოციალური მუშაკის დამატება, კერძოდ, 2020 წლისთვის 50 სოციალური მუშაკი, 2022 წლისთვის დამატებით 50 სოციალური მუშაკი და 2024 წლისთვის დამატებით 30 სოციალური მუშაკი. მათი რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკთა ხელფასების ზრდა და ამგვარად, მათი სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება. 2020 წლისთვის საშუალო ხელფასის ზრდა უნდა მოხდეს 1200 ლარამდე, 2022 წლისთვის 1500 ლარამდე, ხოლო 2024 წლისთვის 2000 ლარამდე.

სოციალური მუშაკების რაოდენობის მატების პირველ ეტაპზე, 2020 წლისთვის, მათი რაოდენობა გახდება 295, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი 1200 ლარი, რის გამოც ამ და მის მომდევნო წელს სახელფასო ფონდზე გამოსაყოფი იქნება წლიურად 4 248 000 ლარი. 2022 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა გახდება 345, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი გახდება 1500 ლარი, რისთვისაც ამ და მის მომდევნო წელს გამოსაყოფი იქნება წლიურად 6 210 000 ლარი. 2024 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა გახდება 375, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი გახდება 2000 ლარი, რისთვისაც ამ წელს და შემდგომ პერიოდში გამოსაყოფი იქნება წლიურად 9 000 000 ლარი.

1.2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციითსისტემაში დასაქმებულია 131 სოციალური მუშაკი, რომელთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი შეადგენს 1185 ლარს, რისთვისაც ყოველწლიურად ხელფასისთვის საჭიროა დაახლოებით 1 862 820 ლარი. სოციალური მუშაკების დატვირთვის გათვალისწინებით და მათი საქმიანობის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა საჭიროება, რომ სისტემაში მოხდეს ჯამში 70 სოციალური მუშაკის დამატება, კერძოდ, 2020 წლისთვის 25 სოციალური მუშაკი, 2022 წლისთვის დამატებით 25 სოციალური მუშაკი და 2024 წლისთვის დამატებით 20 სოციალური მუშაკი. მათი რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკთა ხელფასების ზრდა და ამგვარად, მათი სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება. 2020 წლისთვის საშუალო ხელფასის ზრდა უნდა მოხდეს 1200 ლარამდე, 2022 წლისთვის 1500 ლარამდე, ხოლო 2024 წლისთვის 2000 ლარამდე.

სოციალური მუშაკების რაოდენობის მატების პირველ ეტაპზე, 2020 წლისთვის, მათი რაოდენობა გახდება 156, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი 1200 ლარი, რის გამოც ამ და მის მომდევნო წელს სახელფასო ფონდზე გამოსაყოფი იქნება წლიურად 2 246 400 ლარი. 2022 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა გახდება 181, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი გახდება 1500 ლარი,

რისთვისაც ამ და მის მომდევნო წელს გამოსაყოფი იქნება წლიურად 3 258 000 ლარი. 2024 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა გახდება 201, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი გახდება 2000 ლარი, რისთვისაც ამ წელს და შემდგომ პერიოდში გამოსაყოფი იქნება წლიურად 4 824 000 ლარი.

1.3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სისტემაში დასაქმებულია 10 სოციალური მუშაკი, რომელთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი შეადგენს 900 ლარს, რისთვისაც ყოველწლიურად ხელფასისთვის საჭიროა დაახლოებით 108 000 ლარი. სოციალური მუშაკების დატვირთვისა და ამ სისტემაში სოციალური მუშაკის როლის გათვალისწინებით და მათი საქმიანობის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა საჭიროება, რომ სისტემაში მოხდეს ჯამში 130 სოციალური მუშაკის დამატება, კერძოდ, 2020 წლისთვის 50 სოციალური მუშაკი, 2022 წლისთვის დამატებით 50 სოციალური მუშაკი და 2024 წლისთვის დამატებით 30 სოციალური მუშაკი. მათი რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკთა ხელფასების ზრდა და ამგვარად, მათი სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება. 2020 წლისთვის საშუალო ხელფასის ზრდა უნდა მოხდეს 1200 ლარამდე, 2022 წლისთვის 1500 ლარამდე, ხოლო 2024 წლისთვის 2000 ლარამდე.

სოციალური მუშაკების რაოდენობის მატების პირველ ეტაპზე, 2020 წლისთვის, მათი რაოდენობა გახდება 60, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი 1200 ლარი, რის გამოც ამ და მის მომდევნო წელს სახელფასო ფონდზე გამოსაყოფი იქნება წლიურად 864 000 ლარი. 2022 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა გახდება 110, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი გახდება 1500 ლარი, რისთვისაც ამ და მის მომდევნო წელს გამოსაყოფი იქნება წლიურად 1 980 000 ლარი. 2024 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა გახდება 140, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი გახდება 2000 ლარი, რისთვისაც ამ წელს და შემდგომ პერიოდში გამოსაყოფი იქნება წლიურად 3 360 000 ლარი.

1.4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სისტემაში დასაქმებულია 23 სოციალური მუშაკი, რომელთა ყოველთვიური საშუალო ხელფასი შეადგენს 900 ლარს, რისთვისაც ყოველწლიურად ხელფასისთვის საჭიროა დაახლოებით 248 000 ლარი. სოციალური მუშაკების დატვირთვის გათვალისწინებით და მათი საქმიანობის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა საჭიროება, რომ სისტემაში მოხდეს ჯამში 30 სოციალური მუშაკის დამატება, კერძოდ, 2020 წლისთვის 10 სოციალური მუშაკი, 2022 წლისთვის დამატებით 10 სოციალური მუშაკი და 2024 წლისთვის დამატებით 10 სოციალური მუშაკი. მათი რაოდენობის

ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკთა ხელფასების ზრდა და ამგვარად, მათი სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება. 2020 წლისთვის საშუალო ხელფასის ზრდა უნდა მოხდეს 1200 ლარამდე, 2022 წლისთვის 1500 ლარამდე, ხოლო 2024 წლისთვის 2000 ლარამდე.

სოციალური მუშაკების რაოდენობის მატების პირველ ეტაპზე, 2020 წლისთვის, მათი რაოდენობა გახდება 33, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი 1200 ლარი, რის გამოც ამ და მის მომდევნო წელს სახელფასო ფონდზე გამოსაყოფი იქნება წლიურად 475 000 ლარი. 2022 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა გახდება 43, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი გახდება 1500 ლარი, რისთვისაც ამ და მის მომდევნო წელს გამოსაყოფი იქნება წლიურად 774 000 ლარი. 2024 წლისთვის მუშაკთა რაოდენობა გახდება 53, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი გახდება 2000 ლარი, რისთვისაც ამ წელს და შემდგომ პერიოდში გამოსაყოფი იქნება წლიურად 1 272 000 ლარი.

1.5. დღეის მდგომარეობით, ადგილობრიოვ თვითმმართველობებში არ არიან დასაქმებული სოციალური მუშაკები და აღნიშნულისთვის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული თანხა. თვითმმართველობებში სოციალური მუშაკების როლისა და სამომავლო ფუნქციების გათვალისწინებით და აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მიმდინარე საპილოტე პროგრამის ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა საჭიროება, რომ სისტემაში მოხდეს ჯამში 130 სოციალური მუშაკის დამატება ერთობლივად, 2020 წლისთვის. მათი რაოდენობის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკთა ხელფასების ზრდა და ამგვარად, მათი სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესება. 2020 წლისთვის საშუალო ხელფასის ზრდა უნდა მოხდეს 1200 ლარამდე, 2022 წლისთვის 1500 ლარამდე, ხოლო 2024 წლისთვის 2000 ლარამდე.

სოციალური მუშაკების რაოდენობის მატების პირველ ეტაპზე, 2020 წლისთვის, მათი რაოდენობა გახდება 130, ხოლო ნავარაუდევი ხელფასი 1200 ლარი, რის გამოც ამ და მის მომდევნო წელს სახელფასო ფონდზე გამოსაყოფი იქნება წლიურად 1 872 000 ლარი. 2022 წლისთვის ნავარაუდევი ხელფასი გახდება 1500 ლარი, რისთვისაც ამ და მის მომდევნო წელს გამოსაყოფი იქნება წლიურად 2 340 000 ლარი. 2024 წლისთვის ნავარაუდევი ხელფასი გახდება 2000 ლარი, რისთვისაც ამ წელს და შემდგომ პერიოდში გამოსაყოფი იქნება წლიურად 3 120 000 ლარი.

2. სოციალური მუშაკების სერტიფიცირება

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური მუშაკების სერტიფიცირებისთვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ხარჯების გამოყოფა. სერტიფიცირების პერიოდად დაგეგმილია 2019 და 2020 წლები. რელევანტური უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, იმ სოციალური მუშაკების რაოდენობა და სამომავლოდ გასაზრდელი რაოდენობა სოცალური მუშაკების, რომლებიც უნდა დაექვემდებარონ სერტიფიცირებას, არის დაახლოებით 390. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, TACIS/TEMPUS სასერთიფიკაციო პროგრამის ერთი კურსის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 24 000 ლარს და ეს თანხა გათვალისწინებულია 30 გადასამზადებელი პირის სერტიფიცირებაზე. შესაბამისად, გადასამზადებელი იქნება 390 ადამიანი, რომლების გადანაწილდებიან 13 ჯგუფში. ამდენად, 2019 წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება 7 ჯგუფის გადამზადება, რაც გამოიწვევს დანახარჯს 168000 ლარის ოდენობით (თითოეულ ჯგუფზე 24000 ლარი), ხოლო 2020 წელს მოხდება 6 ჯგუფის სერტიფიცირება და დანახარჯი იქნება 144000 ლარი (თითოეულ ჯგუფზე 24000 ლარი). შესაბამსიად, ორივე წლის განმავლობაში სერტიფიცირებისთვის საჭირო იქნება 312000 ლარი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას, იმ სავარაუდო ოდენობით, რომელზეც საუბარი იყო განმარტებითი ბარათის „ბ.ა“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებში, თუმცა ამ თანხის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელი იქნება კანონის იმპელემენტაციის გეგმის დამტკიცების შემდეგ.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს სოციალურ მუშაკად დასაქმებული პირებისთვის. კერძოდ, კანონის პროექტის მიღებას და მის ამოქმედებას უნდა მოჰყვეს სოციალური მუშაკების რაოდენობისა და მათი ხელფასების გაზრდა, იმ სავარაუდო ოდენობით, რომელზეც საუბარი იყო განმარტებითი ბარათის „ბ.გ“ ქვეპუნქტში, თუმცა ამ თანხის ზუსტი ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელი იქნება კანონის იმპელემენტაციის გეგმის დამტკიცების შემდეგ.

სოციალური მუშაკებისთვის ხელფასების მატება განპირობებულია იმითაც, რომ მათ უჩნდებათ სოოციალურ მუშაკთა გაერთიანების საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებაც, რომლის ოდენობას და გადახდის წესს განსაზღვრავს გაერთიანება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტის თანახმად, იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოციალურ მუშაკთა გაერთიანება, რომელში გაწევრიანება სავალდებულო იქნება ყველა პრაქტიკოსი სოციალური მუშაკისთვის. კანონპროექტითვე განსაზღვრულია, რომ გაერთიანების წევრი სოციალური მუშაკები ვადებული არიან გადაიხადონ გაერთიანების საწევრო გადასახადი, რომლის ოდენობასაც დაადგენს სოციალურ მუშაკთა გაერთიანება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკაშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ფრიდრიხ-ებერტის ფონდი

ექსპერტი - ანა ფირცხალაშვილი („დემოკრატიის განვითარების სააგენტო“)

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კირსტინ ფუსანი - განათლების, ახალგაზრდობისა და ოჯახის საკითხების მიმართულების ხელმძღვანელი, ბერლინის თვითმმართველობა

სვენია კეტელსენი - უსახლკარო ქალთა მიმართულების ხელმძღვანელი (DBSH e.V. Landesverband Berlin).

გაეროს ბავშვთა ფონდი

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

სოფიო კილაძე, რატი იონათამიშვილი, ლევან ბეჟანიძე, ირაკლი ბერაია, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, სავალან მირზოევი, დიმიტრი მზეიძე, ანრი ოხანაშვილი, მერაბ ქვარაია, დიმიტრი ცქიტიშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

სოფიო კილაძე, რატი იონათამიშვილი, ლევან ბეჟანიძე, ირაკლი ბერაია, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, სავალან მირზოევი, დიმიტრი მზეიძე, ანრი ოხანაშვილი, მერაბ ქვარაია, დიმიტრი ცქიტიშვილი.